№ 234 ნოემბერი 3, პარასკევი 1889 ნოემბერი 3, პარასკევი № 234

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 7 | 65 | 1 . . . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაჭვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. ვარაიცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიასა თავად-აზნაურთ ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

1890 წ. იანვრის თვიდგან

ქ. ტფილისში

გამოიცემა, ორ თვეში ერთხელ, საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80 მდე გვერდი დიდის ფორმატისა.

„ჯეჯილში“ დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობისა და შესანიშნავ კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშვო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, ამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო პოეტებმა და მწერლებმა.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირება — 3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით და მიიღება:

1) ტფილისში — „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და თვით «ჯეჯილის» რედაქციაში (Барятинская ул., д. № 8).

2) ქუთაისში — ეკ. ნიკოლაძისას.

3) გორში — ეკ. ფურცელაძისას.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

(2—1) რედაქტორი-გამომცემელი ან. თუმანიშვილისა

ისყიდება ბ-ნ საბინინის წიგნი

„საქართველოს სამოთხე“

თითო წიგნი ღირს 10 მანეთი, გაგზავნით — 12 მანეთი.

დარჩა სულ თექვსმეტი ეგზემპლიარი

მსურველმა მიჰმართოს: ბაგრატიონის ქუჩაზე, კოპაძის სახლებში, № 16, თვით ავტორს. (3—2)

## წლიური საერთო კრება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წევრთა, თანახმად საზოგადოების წესდების მე-11 §-ისა, დანიშნულია ამ წლის ნოემბრის 5. დილის 10 საათზედ, სათავად აზნაურო ბანკის დარბაზში.

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა) ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1888 წლის 1-ლ სექტემბრიდგან 1889 წლის 1-ლ სექტემბრამდე.

ბ) მოხსენება საწარაუდო ხარჯთაღრიცხვაზე 1889 — 1890 წლისათვის და

გ) არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

ტფილისი, 2 ნოემბერი

რაღაც დიდმნიშვნელოვანი კეთდება ეხლევანდელ პოლიტიკისაგან. ვერავის ვერა გაუგია-რა რას ჰნიშნავს, რას მოასწავებს ცალკე იმპერატორ ვილჰელმის ყოფნა სტამბოლში, ცალკე ფერდინანდ კობურგელის ევროპაში სეირნობა და ცალკე უეცარი სურვილი სერბიის გადამდგარ მეფის მილანისა, რომელიც ჰჩქარობს სამის დღით ბელგრადში მივიდეს პარიჟიდამ. ყოველივე ეს ცოტა წინ და უკანაობით მოხდა ჯერ იმ დროს, როცა ხელმწიფე იმპერატორმა ინება და გერმანიის იმპერატორი ინახულა მის სატახტო ქალაქში და მერე იმ დროს, როცა გერმანიის მფლობელმა მოიარა სტამბოლი და სულთანთან ლაპარაკით ასე თუ ისე მეიჯერია გული. ყოველ ამას უნდა დაემატოს ერთი ისა, რომ ვილჰელმმა უკვე აცნობა თ. ბისმარკს, ვითომც ძალიან კმაყოფილი მოდის სტამბოლიდამ, მეორე ისა, რომ უკან დაბრუნებაზე იგი შეივლის ჯერ ვენეტიკაში, საცა, რასაკვირველია, ინახულებს იტალიის საჭირო კაცებს, მერე ავსტრიის იმპერატორსაც შეეყრება და ბოლოს იქნება რუმინიის მეფესაც ეწვიოს. ყოველ ამასთან ისიც სახეში ვიქონიოთ, რომ ვენის გაზეთები მეტის-მეტად უქებენ და უწონებენ ფერდინანდ კობურგელს სატახტო სიტყვას, რომელიც მან წარმოსთქვა ბოლგარეთის ერის წარმომადგენელთა კრებულის წინაშე და რომლისაგანაც სჩანს, ვითომც კობურგელს ხელს უწყობენ ძლიერნი მომქმედნი ევროპის პოლიტიკისა.

რას უნდა მოასწავებდეს ყოველივე ეს ერთად და თვითვეულად ცალკე? არა გვგონია ამოდენა ერთი ერთმანეთზე ზედ-მიყოლილი ამბები შემთხვევით მიეყერებოდეს. აშკარაა, თვითვეული ეს ამბავი ერთისა და იმავე სათავიდამ მოდის, ერთისა და იმავე გრეხილის ძაფებია, ერთმანეთში ერთს ყაიდაზედ ჩართული და ჩაგრეხილი. რაში უნდა მდგომარეობდეს კმაყოფილება, რომელიც გერმანიის იმპერატორმა საჭიროდ დაინახა აცნობოს თ. ბისმარკს? ამგვარად, აქ ის კმაყოფილება არ უნდა იგულისხმებოდეს, რომელსაც ჰგრძნობს ხოლმე სტუმრად მისული მასპინძლისაგან. იმპერატორს ვილჰელმს შინაც ბევრი და მძიმე საქმეები აქვს და მარტო ამისთანა კმაყოფილებისათვის იგი თავს არ შეიწუხებდა სიარულით გვირგვინოსანს, ნამეტნავად იმისთანა ძლიერს, როგორიც ახალგაზრდა იმპერატორია გერმანიისა, სად არ დახვდება მასპინძელი იმოდენად კარგად და ტკბილად, რომ უკმაყოფილოდ არ დარჩეს ამ მხრით.

# ფელეტონი

## მზითვის წიგნი ანუკა ბატონიშვილისა და მისი განმარტება

ანუკა ბატონიშვილის მზითვის წიგნს*) შემდეგი წინასიტყვაობა, ანუ შესავალი მიუძღვის

უპირველესთა ჟამთასა, ოდეს შეურყეველმან გვამოვნებითა, სამ-ხატოვანმან ღვთაებამან და სამებამან, სრულმან დიდებითა და სამარადისებითა და მეუფებითა არ განუყოფელმან, არცა უცხო ქმნილმან, რომელი არასოდეს მოაკლდა ძე მამასა, არცა ძესა სული, არცა აღორძინდა ერთობა ოროობად, არამედ უქცეველად ჰგებულმან, ღმერთმან სამებამან ერთ არსებამან, ერთ ღვთაებამან, ერთ ძალმან, ერთ მეუფებამან, უკვდავმან, დაუსაბამომან, მიუწდომელობით ცნობილმან, დამბადებელმან ყოველთა არსთამან, ჟამთა და წელთა სიმრავლისათვის დაუბერავმან, უკვდავთა და მოკვდავთა ცხოვრების მომნიჭებელმან განზრახვითა და სიბრძნითა შექმნა ცა და ქვეყანა და იყო ქვეყანა ესე უხილავი და განუმზადებელი და ბნელი იყო მდგომარე ზედან უფსკრულთა და სული ღვთისა იქცეოდა წყალთა ზედან, ინება და დაბადნა ანგელოზნი სულად და მსახურნი მისნი ალად ცეცხლისად, მთავარანგელოზნი, უფლებანი და ძალნი მრავალ თვალოვანნი და ექვს-ექვს ფრთენი ქერაბიმნი და განუჩინა... რომელნი არა გარდახდებიან საზღვართაგან მისთაგან და განსაზღვრნა კმელნი, დაბადნა მთანი და ბორცვნი მაღალნი და მდაბალნი, ყოველნი უძრავნი, დღე და ღამე, ქროლა ქართაცა, მერე გრილი მყინვარე, გაყუნა წყალნი სიმაღლედ და სიმდაბლედ, აღმოაცენა პირისაგან ქვეყანისა ყოველნი მდელონი მწვანე მწვანეილნი, თვის სათესავი, ხე ხილოვანი და უხილო, მზე და მთოვარე და ვარსკვლავნი, დაბადნა ყოველნი იმგრიხნი, ფრინველნი, ქვეწარმავალნი, ვეშაპნი ზღვასა შინა და ხმელთა ზედან, ყოველნი პირუტყვნი, მხეცნი ნადირნი, იძვრიან ქვეყანასა ზედან. ოდეს სრულ იქმნა ცანი და ქვეყანა, ყოველნი სამკაულნი მათნი განასრულა და განისვენა ყოველთა საქმეთა მისთაგან რომელნიცა ქმნა. შემდგომად ამისად შექმნა კაცი ღმერთმან მტვერისა მიმღებელმან ქვეყანისაგან და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისა და იქმნა კაცი სრულად ცხოველად და დასხა სამოთხე-ედემსა აღმოსავლით და დადვა მუნ კაცი, რომელი შექმნა. აღმოავაცენა ქვეყანით ყოველი ხე მშვენიერი, ხილვად კეთილი, საჭმლად ხე ცხოვრებისა შორის სამოთხეთ და ხე იგი ცნობადი კეთილისა და ბოროტისა, მერმე თქვენა ღმერთმან: არა კეთილ არს კაცისა ამის მარტოსა და უქმნა შემწე მსგავსი მისი და... განკვირვება ადამსა ზედან და დაიძინა და მოიღო ფერდი ერთი გვერდისა მისისა და აღმოუვსო კორცითა მის წილ და აღუშენა გვერდი, რომელი მოიღო ადამისაგან, ცოლად და მოიყვანა იგი ამისად და თქვა ადამ: აწ ესე ძვალი ძვალთა შენთანი და კორცნი კორცთა შენთანი, ამას ეწოდოს ცოლი, რამეთუ ქმრისა მისისაგან გამოღებული იქმნა, ამისათვის დაუტეოს კაცმან მამა და დედა თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა და იყვნენ ორნივე ერთ ხორც. ხოლო შემდგომი ამათნი მოგითხრობთ წერილმან სხვამან და ჩვენ მივიქცეთ პირველსავე სიტყვასა ზედან.

ამად დაბადნა ესე ყოველნი არა არსთა არსებად და მომყვანებელმან ღმერთმან, რათა ჰქონდეს კაცთა საშვებელად და ესე ორნი შექმნა კელოვნებითა კელით საუფლოთა, რათა ამათ მიერ აღმშენდეს და გამრავლდეს ქვეყანა თესლ ტომითა მათითა და უფლობდნენ ყოველთა ზედან, ადიდებდენ და თაყვანისცემდენ მარადის დამბადებულნი დამბადებელსა თვისსა. მას აქათითგან იქორწინებდნენ და განქორწინებდიან და განმრავლდენ და იშვნეს კაცნი ღვთისა სათნო ჩენილი აბელ, მართალი, სატიოსნად ღვთისად მსხვერპლისა შემწირველი, ენუქ უკვდავ ქმნილი, სამოთხესა მკვიდრი, ნოე წყლით ღვთისაგან განმრინებელი, აბრაჰამ მეუსხა მამრესა თანა სამების სტუმრად ღირს-ქმნილი, ისაკ საბეესა ხესა ვერძ ადგბით განთავისუფლებული; იაკობ ქვეყანისაგან ცად აღწევნილად კიბეთ მხილველი; მოსე სალტურისგან მეგვიპტურის განმარინებელი, ჰაროწ კვერთხით უკვდავ მყოფლის ნაყოფის ამომღებელი, დავით მეფე, რომელს უწოდდა ღმერთმან მამა, ძე მისი სოლომონი, აღთქმითგან სიბრძნით შობილი; სხვანი რაოდენნი: ნათლისმცემელი იოვანე და იოაკიმ, კაცი მართალთა მშობელი, რომლისაგან შვა მშობელი შემოქმედისა ღვთისა, მარადის ქალწული მარიამ და ამისან იშვა უფალი და მეუფე დამბადებელი ჩვენი ღმერთი იესო ქრისტე, რომლითა მოგვეცა ნეტარება იგი პირველი, ჩვენ მიერ ურჩებით წარწყმედული და მოყვედით წარმართებასა ორსავე სოფელსა ცხოვრებისასა და აღსრულებასა ყოვლისა კეთილისასა...

ამისთვის მსასოებელმან მისმან დაცვად და ფარვად მინდობილმან, ხსენება ეჰყო ღვთივ დიდებულისა ამა წინასწარმეტყველთა ძირთაგან აღმოცენებულისა და მათგან რტოდ გარდმოფენილისა, ღვთივ აღმატებით დამყარებულისა და ღვთივ ზეცით გვირგვინოსნისა პირველთაგანვე ზეცით საქართველოს მეფედ განკვეთნილისა და აწ სასუფეველსა ცათა შინა სულ ბრწყინვალად მანათებელის იასიან-დავითიან-სოლომონიან - პანკრატოვიანის მხნე, ახოვან, ქველ დიდებულის მეფის პატრონის შაჰნავაზისა, რომელი მეფობდა ქართველთა და კახთა ზედან, კლმით დამპყრობელ იქმნა ლიხთ იმერსაცა სამთავე სამეფოსა, აფხაზთაცა, ვიდრე შავს ზღვამდე; ვახსენოთ ამა მაღლისა მეფისა მიერ აღმობრწყინვებული და განმანათლებელი ყოველთა მიდამოთა უსწოროდ ქვეყნად სახელ განფენილი ძე მისი პირმშო მეფე პატრონი არჩილი, რომელი არს უწილავთა/ხილულთა მტერთა გულიათებრ დამცემელი, არა თუ შურდულითა, არამედ ძალითა ჯვარისათა და სიონისა მღვიძარად ებგურად ჩინებული ქრისტეს სტრატილატი, კაცი გულის ხათქმელი ღვთისა, რომელსა იტყვის ვპოვე კაცი გულითადი ჩემი, რომელმან მიწევნულ ჰყო თავი თვისი პატიოსანი ხაზართა მეფე მეფისად და გიეს ცხოვრებითა და პატივით სწორებით მისათ; კვალადი ვთქვენეთ: ძე მისვე პირველ კსენებულისა მეფისა, სკიპტრა მეფობისა და ტახტ-გვირგვინისა შესაფერი მძლეთა-მძლეველი, მტერთა გულების ხაზებით შემაძრწუნებელი ლომი ლომთა გმირთაცა უგმირესი, მეფე ქართველთა, სრულიად ერანის სპასალარი, ყანდარისა და ქირმანისა ბეგლარ-ბეგი, გირიშქისა და აილათის მპირავი გიორგი, ხმობილი მეორე შაჰნავაზ-ხან, რომელმან მოწყლულ ქმნა ძალითა და სიმხნით თავი თვისი სინდეთამდე, ვითარცა ვახტანგ გურგასალ, რომელი აღესრულა მუნ პატიოსანთა გვამთა მისთა მეწამულ ყოფით. აწ სხვისა ვიწყოთ. ძისა მისვე მეფისა და მოძმეთა ამა მეფეთა. უმრწყელესი (თუ უმრწემესი?), რომელი იყო საქმითა სრული, განზრახვითა მდიდარი, მომავალთა საქმეთა სიბრწყინვით წინასწარ მთქმელი თავი ფილასოფოსთა, მშვიდი, უხვი და თავ-მდაბალი, მართლად განმსჯელი და გარდაუწეველად მოსამართლე, სრულიად ერანის მდივან-ბეგი, პატრონი ლევან და ძე მისი, ქართველთა მეფე, სრულიად ერანის სპასალარი, თავრიზისა და ადირ-ბეჟანის ბეგლარ-ბეგი, მეფე პატრონი ხოსრო, რომელი იყო დასაბამი ყოვლისა სიკეთისა და აღზრდილი კელმწიფეთა ქცევითა, ბრძოლათა შიგან გულსრულად შემტაკებელი, მრავალ კეცთა რაზმთა შემაძრწუნებელი და მძებნელი სახელისა და მამობისა. აწ ჩვენ ღვთისა ერთ-არსებისა და სამ ნათლად ცნობილისა მამისა, ძისა და სულისა წმიდისა გულ-მხურვალედ და ჭეშმარიტად მადიდებელმან და თაყვანის-მცემელმან, უბიწოდ მშობელისა ძისა ღვთისა მარადის ქალწულისა მარიამისა მმოსავმან და მინდობილმა წილ-კდომილთა მისთა ქვეყანათა შინა ქართლისათა მკვიდრ ქმნილმან, უფლისა და მეუფისა ჩვენისა იესო ქრისტეს კვართისა და ხვეტსა ღვთივ აღმართებულსა და მირონსა აღმომდინარესა

*) დედანი ამ მზითვის წიგნისა, რომელსაც ბოლოს აწერია „ვახტანგ“, ეკუთვნის დ. ზ. ბაქრაძეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ, რა თქმა უნდა, სტუმარ-მასპინძლობა არაფერს შუაშია. აქ საგანი კმაყოფილებისა სხვა უნდა იყოს, სახელდობრ, ან ის, რომ სულთანი დაიყოლია „სამთა კავშირში“ ჩასარევად, ან ბალკანეთის საქმის თაობაზედ თავის სურვილზედ მოიყვანა ფადი-შაჰი ოსმალეთისა. სხვა საქმე გერმანიას არა აქვს ოსმალეთთან და ესეც თუ აქვს, ცალკე საფრანგეთისა და რუსეთის შიშითა და ცალკე ავსტრიის შესაწევრად და სამხრობდ.

გაზეთები გვაუწყებენ, რომ მინამ ვილჰელმი სტამბოლში იყო, ავსტრიის მინისტრმა კალნოკიმ ინახულა თ. ბისმარკი და დაბრუნდა კიდეც ვენაშიო. დაბრუნების უმალვე ავსტრიის გაზეთებმა დაფა-ნაღარა დაჰკრეს, რომ ავსტრია ყოველ ღონისძიებას იხმარებს ეხლანდელი ყოფა ბოლგარეთისა ხელ-უხლებელად დაანარჩუნოს და აქ ავსტრია არავის არაფერს ვერ დაუთმობსო. ცხადია, გრაფი კალნოკიც კმაყოფილი წამოსულა თ. ბისმარკისაგან და მაშასადამე ისიც ცხადი უნდა იყოს, რომ ამ ორგზობის კმაყოფილება ჰსურთ ერთმანეთს გაუზიარონ ერთის მხრით გერმანიის იმპერატორმა და მეორეს მხრით იტალიამ და ავსტრიამ. აი, ჩვენის ფიქრით, მიზეზი, რომელმაც საჭიროდ ჰქმნა ვილჰელმის მისვლა ჯერ ვენეტიკაში და მერე ინსპრუკში, სადაც ავსტრიის იმპერატორს შეხვდება. რუმინიის მეფის ნახვას გერმანიის იმპერატორისაგან, რასაკვირველია, სხვა საგანი ექმნება: აქ მომხრეობაზე თუ იქნება ჩამოგდებული სიტყვა, თორემ სხვაფრივ აქ მოსაჩხრეკი და მოსამკალი არა არის-რა გერმანიის პოლიტიკისათვის ბალკანეთის შესახებ. ჩვენ ვამბობთ, ბალკანეთის შესახებ, რადგანაც თვითეულ ზემო ჩამოთვლილ ამბებში თავი და ბოლო პოლიტიკისა ბილკანეთია და უბალკანეთოდ არც აზრი აქვს და არც საბუთი.

რაკი აშკარაა, რომ თვითეულ ამ ამბების მიზეზი ბალკანეთია, საკითხავად მარტო ეს-ღა ჰრჩება: ვინ არის აქ ნიშანში ამოღებული? რასაკვირველია, რუსეთი, რომელიც აინუნშიაც არაფერს იმჩნევს და ეგრედ წოდებულს პოლიტიკას „свободныхъ рукъ“-ს ადგია.

## ახალი ამბავი

*** შინაგან საქმეთა სამინისტრომ გადასწყვიტა მისცეს შემწეობა სამერმისოდ შემდეგ დაწესებულებათ: კავკასიის სამკურნალო საზოგადოებას 2,300 მან., წმ. ნინოს საქველ-მოქმედო საზოგადოებას ტფილისში 12,360 მან. და ბაქოსას 500 მან., ტფილისის თეატრს—42,195, ტფილისის სამუსიკო სასწავლებელს 5,000 მან., გაზ. „კავკაზს“ 4,000 მან. ტფილისის მაჰმადიანთა სასწავლებელს 3,090 მან., რუსეთის გეოგრაფიულ საზოგადოებას და იმის განყოფილებათ—32,000 მან.

*** ჩვენ მივიღეთ „საცენტრალო-წიგნების გამყიდველთაგან გამოცემული“ წიგნი „საღვთო ისტორია ძველისა და ახალის აღთქმისა“, შედგენილი მღვდლის ლაზარე ტურიევისაგან. ამ წიგნს ავტორი მეორედ ჰბეჭდავს და, როგორც ყდაზედ აწერია, შედგენილია 1881 წ. უწმ. სინოდის მიერ დამტკიცებულის პროგრამით სახელმძღვანელოდ სხვა-და-სხვა პირველ-დაწყებით სასწავლებლისათვის. წიგნში ჩართულია სურათები და ღირს ორი აბაზი.

*** ეს არის ეხლა მივიღეთ კავკასიის სამეურნეო გამოფენის გამგე კომიტეტის მიერ დაბეჭდილი წიგნი: Каталогъ-планъ кавказской выставки предметовъ сельскаго хозяйства и промышленности 1889 года. ამ წიგნში დაწვრილებით არის აწერილი და ანუსხული ყოველივე საგანი, რომელიც იყო კავკასიის გამოფენაზე. ფასი წიგნისა ერთი მანათია.

*** გუშინ-წინ, 1 ნოემბერს, ქართულს თეატრში ფორკატის დასმა არტისტის ქალის ს. ო. ტროცკაიას საბენეფისოდ წარმოადგინა სამ-მოქმედებიანი კომიკური ოპერეტი „Красное Солнышко“. ჩვეულებრივ კარგად შეასრულეს თავისი როლები თვით მობენეფისემ, კლიმენტიევმა, ბიაზიმ, ფატეევმა და მეიერსონმა. თეატრი ხალხით სავსე იყო. საზოგადოებამ დიდის ამბით მიიღო თავისი საყვარელი არტისტი-ქალი ტროცკაია. მობენეფისეს თეატრში შემდეგი საჩუქრები მიართვეს: ხავერდის დიდის ყუთით კანფეტები, ვერცხლის საყარცხელი, ოქროს სამაჯური, ბრილიანტის გულის ქინძისთავი და ალბომი. წარმოდგენის შემდეგ დიდის ამბით გააცილეს მობენეფისე შუშხუნებითა, ტაშის ცემით და «ვაშა-ვაშას» ძახილით. დღეს წარმოდგენილი იქნება ოფენბახის ოთხ-მოქმედებიანი ოპერა „მგალობელი ჩიტები“.

*** საოპერეტო დასის ანტრეპრენიორ ბ-ნ ფორკატისაგან შემდეგი წერილი მოგვივიდა: „ნება მომეცით თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით მივმართო იმ მუსიკის მოყვარულთ, რომელთაც რომელისამე მუსიკის ცოდნა აქვთ, რომ თუ სურთ და მოიწადინებენ, მონაწილეობა მიიღონ ა. გ. რუბინშტეინის დღესასწაულის საიუბილეოდ შემზადებულს უვერტიურაში „რუსეთი“, რომლის ასასრულებლადაც სამოც მემუსიკემდე საჭიროა. ვინც მოისურვებს ამ დღესასწაულში მონაწილეობის მიღებას, კეთილინებონ, თავისი ადრესი გამოგზავნონ თეატრში ჩემს სახელზედ და იქვე აღნიშნონ, თუ რომელ მუსიკას დაუკვრა იციან; ან თუ არა-და, თითონ მნახონ პირად ამ ნოემბრის 10-მდე, დილის 11-დგან 12 საათამდე.

*** ტფილისის მომრიგებელ სასამართლოს მეორე განყოფილებაში ამ თვეის ათს დანიშნულია გასარჩევად ერთი შესანიშნავი საქმე. ელისაბედ აივაზოვისა და მარიამ ალხაზოვისა უჩივიან იაგორ და ნატალია ფარუხოვებს და რამდენსამე სხვას, რომ ესენი შემოგვიცვივდნენ და ჯოხით გვცემესო. ნაცემები შეუმოწმებია ექიმს კარაპეტიანცს.

*** ტფილისის სამკურნალოში ამ ზამთრისათვის ისეთი ღუმელები უნდა დაჰმართონ, რომ შეშის მაგიერ ქვანახშირი დაინთებოდეს. ეს ღუმელები უნდა დააკეთოს ვარშაველმა ოსტატმა თითო ხუთ-ხუთ თუმან-ნახევრად. ოსტატი ამ დღეებში შეუდგება ამ ახალის ღუმელების კეთებას. არ იქნებოდა ურიგო, რომ სხვანიც მიჰბაძავდნენ ტფილისის სამკურნალოს, მით უმეტეს, რომ შეშა ქვა-ნახშირზე ბევრად ძვირია და ტყის ჩეხაც დიდად საზარალოა ქვეყნისათვის.

*** კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოებისაგან მოგვივიდა „Извѣстія Кавказскаго отдѣла Им. Рус. географическаго общества“. ტომი მეცხრე და დამატება იმისი: „Статистическія таблицы вилайетовъ Турецкой Имперіи, ближайшихъ къ Закавказью. „Извѣстія“-ს მეცხრე ტომში მოთავსებულია მრავალი სხვა-და-სხვა წერილი და შენიშვნა კავკასიის გეოგრაფიისა, ეტნოგრაფიისა, ლინგვისტიკისა და სხვა გვარ ცოდნათა შესახებ. ამას გარდა ამავე ტომშია დაბეჭდილი დაწვრილებით ანგარიში კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოების მოქმედებისა 1887 და 1888 წ. „სამეცნიერო მატიანეს“ განყოფილებაში ანუსხულია მოკლედ ყოველივე, რაც-კი სამეცნიერო რამ დაწერილა კავკასიის შესახებ და აგრეთვე კავკასიის მეზობლად მყოფ ქვეყნების შესახებაც. ამას გარდა მოხსენებულია და აღნიშნული ყველა ის

---

ზედან აღშენებულისა, დედა ქალაქსა მცხეთასა, სამოციქულო კათოლიკე ეკკლესიასა მქებელმან, ძისა ძმან პირველ ხსენებულის მეფისა, პატრონის შაჰნავაზისამან და ძმისწულმან მეფის არჩილისა და მეფის გიორგისამან, ძემან ერანის მდივანბეგის ლევანისამან და ძმამან მეფის ხოსროვისამან, საქართველოს გამგებელმან, ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ და თანამეცხედრემან ჩვენმან, ჩერქეზთ მეფისა ასულმან, დედოფალთ დედოფალმან, პატრონმან რუსუდან: ნებითა განგებითა და წადილითა ჩვენითა, თანაზრახვითა და შეწევნითა ქართლისა და კახეთისა და სამცხე-საათაბაგოს მაკურთხეველის, მცხეთას ხარისხსა ზედა მდგომელის და საჭედ მპყრობელის, ძისა (?) ჩვენისა პატრიარქისა პატრონის დომენტისათა, ყოვლის სიკეთის მქონებლის, მობურთალ - მოასპარეზის ძმისა ჩვენის ბატონიშვილის ბატონის იასესითა, ყოვლის სალმეთო-სამხედრო ზნებით ალსავსის ძმისა ჩვენის ბატონიშვილის ბატონის სვიმონისითა, პირმშოსა და სასურველი ძისა ჩვენისა ბატონიშვილის ბატონის ბაქარისათა... ვიგულეთ და ვიგულის-მოდგინეთ, წყალობა ვყავით და მიუბოძეთ დიდგვარ თავადსა, დიდებულსა და წარჩინებულს, ერთგულსა და მისანდოსა შვაშიადთა (ხვაშიადთა?) ჩვენთა შემნახავსა, თანაშეზრდილსა და გაზრდილსა მრავალ ფერად და უცხო სახედ თავ-დადებით ნამსახურსა, მეენებლეთა ჩვენთა ბრძოლად თავ-დადებულსა, განძლიერებისა და დიდებისა ჩვენისათვის მიმჰირნესა, ძალმწყსა აბაშიძეს, ბატონს ვახუშტის, მივათხოვეთ მეუღლედ და თანამეცხედრედ ასული ჩვენი სასურველი, ქრისტეს სარწმუნოებაზედ აღზრდილი, მზისა ციმციმთაებრ თვალ-შეუდგამი, მისთა სხივთა მიმგზავსებით ნათელ-მომფინარე, მთვარის მოდავედ მქნელი ათ-ხუთმეტ დღისა, მისადვე სახედ გავსილი, უებრად სახედ ხინჯ-დაუდებელი, თვით სახეობით მავალითი. ნათელი თვალთა ჩვენთა და სიხული (?) გონებათა ჩვენთანი, ბატონიშვილი ანუკა. აკურთხოს ღმერთმან მეუღლობა ამათნი, ვითარცა აბრამ და სარა, ისაკ და რებეკა, იაკობ და რაქაელი, იოაკიმე და ანნა, ზაქარია და ელისაბედ და დავით მონა თვისი, რომელსა აღუთქვა ნაყოფისა მუცლისა მისისათა დასმა საყდართა მისთა, გინათუ ოდეს ესტუმრა უფალი ჩვენი იესო ქრისტე კანას გალილიას მექორწინეთა და აკურთხნა; აგრეთ კურთხევით იყავნ ძენი და ძის-ძენ და თვის ტომნი ამათნი, რომელსა იტყვით და ვით ხე, დანერგული თანა წარსადინელსა წყალთასა, რომელმან გამოსცის ნაყოფი მისი ჟამსა თვისსა და ფურცელნი მისნი არა დასცვივენ და ყოველი, რაცა ყონ, წარემართოს სიმართლით, ვითარცა ფინიკი აღყავნენ და ვითარცა ნაძვი ლიბანისანი განმრავლდენ, დანერგულნი სახლსა უფლისათა ყვავოდიან და აკურთხნენ გვირგვინი წელიწადთა ამათთანი სიტკბოებითა და ველნი მათნი აღივსნენ სიპოხითა...

---

აქ შევჩერდეთ ერთს წამს და თვალი გადავავლოთ მოთხრობილ ამბებს. ეს მზითვის წიგნი თვით ის დედანია, რომელიც, ალბად, ვახტანგ მეფის ბრძანებით შეუდგენიათ. ასე იმიტომ ვფიქრობთ, რომ იგი დამტკიცებულია და თვით მეფე ვახტანგისაგან საკუთარის ხელით ხელ - მოწერილი. მზითვის წიგნი იყოფება ორ ნაწილად: შესავალი და მზითვის სია. შესავალი უკვე მოვიყვანეთ და სიას კი ქვემოდ ცალკე დავბეჭდავთ.

ამ წიგნს, ჩვენის ფიქრით, დიდი ისტორიული და ეთნოგრაფიული მნიშვნელობა აქვს იმ მხრით, რომ იქ ვპოვებთ ცნობას, თუმცა მოკლედ მოთხრობილს ვახტანგის ოჯახის წევრთა შესახებ. თვით მზითვის სია-კი გვიჩვენებს და გვიხატავს ქონებრივსა, ზნეობრივსა და გონებრივს მდგომარეობას მაშინდელ დროის საქართველოს უმაღლესს წოდებისას.

თავის ქალისთვის ვახტანგს წარუტანებია აურაცხელი ხატი, ჯვარი, სალმთო და საერო წიგნები, თვალ-მარგალიტი, ოქროულ-ვერცხლეული, საცმელ-სამოსელი, მოსამსახურენი, სათამაშონი და სხ. მაგრამ ყველა ამას ხომ თვით მზითვის სიიდამ შევიტყობთ, ჩვენ ისევ შესავალს ჩავუკვირდეთ.

„შესავალიდამ“ სჩანს, რომ ვახტანგი, ანუკა ბატონიშვილის გათხოვების ჟამს, საქართველოს მეფე-კი არა, გამგებელი ყოფილა. იგი საქართველოს განაგებდა 1703 წ. 1711 წლამდე. 1716 წლიდამ თუმცა მეფობაც დაუმტკიცდა, მაგრამ 1719 წლამდე სრულიად მოშორებული იყო თვის სამეფოს, რომელსაც ამ დროს განაგებდა მისი პირმშო შვილი, გამაჰმადიანებული ბაქარ მეფე. მეფედ ქართლისად აღიარებული და დამტკიცებული ვახტანგი-კი სპარსეთის ყეენმა დანიშნა სპასალარად და მმართველად ადირბეჟანისა, სადა მან დაჰყო 1712—1719 წლამდე. ბაქარის მეფობის დროს საქართველო შეაჭირვეს და შეასუსტეს მოსულმა მტრებმა: ოსმალოთა, მთიულთ, სხვა-და-სხვა ხანთა და გაძლიერებულ ლეკთაც მოუხშირეს რბევა და ოხრება ჩვენის ქვეყნის. ამის გამო ვახტანგმა ყეენს გამოუცხადა, რომ თანახმა ვარ გამაჰმადიანებისა, ოღონდაც სამშობლოში დაბრუნების ნება მომეცესო. იამა ყეენს და გარეგნობით გამაჰმადიანებული ვახტანგი წარმოგზავნა და მიუბოძა ტახტი საქართველოსა.

„შესავალში“ მოხსენებულია აგრეთვე პაპა ვახტანგისა შანაოზი ანუ ვახტანგ მე-V-ე, ძენი მისნი: არჩილ, გიორგი, ლევან, ლევანის ძე და ძმა ვახტანგისა ხოსრო პატრიარქი დომენტი. ყველა ამათზედ, გარდა დომენტისა, შესავალი მოგვითხრობს იმასვე რაც «ქართლის ცხოვრებაში»-აც არის მოხსენებული.

მეფე ვახტანგი, ანუ შაჰნაოზ I მეფობდა 1658—1676 წლამდე. ამას ჰყავნდა ცოლად ყაფლანის ასული როდამ, მაგრამ, ყეენის ბრძანებით, განუტევა როდამი და შეირთო როსტომ მეფის ქვრივი მარიამი, რომელთანაც მიეცა შვილები: არჩილ, გიორგი, ლევან, ალექსანდრე, ლუარსაბ, სოლომონ და ასულნი: ანუკა და თამარი.

ვახტანგი შორს-მხედველი და გონება გამჭრიახი კაცი იყო. იგი დარწმუნებული იყო, რომ საქართველოს ბედნიერება დამყარდებოდა მხოლოდ მის ცალკე გასულ ნაწილების შეერთებითა და შემოკრებით. ამ სასურველ აზრის განსახორციელებლად იგი დაემძახლა დადიანს, რომლის ასულზე დანიშნა შვილი თვისი არჩილი; არაგვის ერისთავს, გურიელს, რომლის ასული თუთა შერთო ლევანს. ამას გარდა თავისი ქალი ანუკა მიათხოვა სპარსეთის ყეენს შაჰ-აბაზს. ამ გვარ მოყვრების შემწეობით უნდოდა თავისი წადილი აღესრულებინა და დანაწილებით დასუსტებული ქვეყანა გაეძლიერებინა.

პირველ ხანს გარემოებაც ხელს უწყობდა. იმერეთის ტახტისათვის ცილობა იყო გამართული. ვახტანგმა მოუწოდა ქართლის ჯარს, გადავიდა იმერეთს, დაამარცხა დადიანი, რომელსაც ამ დროს ეპყრა იმერეთი, აიღო ქუთაისი, ოდიში, მოჰკლა დადიანი და ზუგდიდს დაბანაკებულმა დადიანობა მიუბოძა ლევანს. აქვე მეფეს მოეგება შარვაშიძე და გამოუცხადა ერთგულება და მორჩილება. ქართლს დაბრუნებისას ვახტანგმა, იმერთა თანხმობით, იმერეთის მეფედ დასვა ძე თვისი არჩილი. აქ გურიელმაც დიდი ერთგულება და მორჩილობა შეჰფიცა. ის ამბავი სცნორა ხონთქარმა, ყეენს მისწერა: „არს ზავი ჩვენ შორის და აწ დაუპყრავს იმერეთი შაჰნაოზსა და უკეთუ გნებავს, ვბრძოთ ურთიერთას“. რადგან თითონ ყეენსაც არ იამებოდა საქართველოს გაძლიერება, ამიტომ მოსწერა შაჰნაოზს, არჩილი ისპაანს წარმომიგზავნეო, და მეფემაც თხოვნა შეუსრულა.

ამავე დროს კახეთში შემოსულიყო კახეთის ტახტის მეძიებელი თეიმურაზ I-ის ძის დავითის-ძე ერეკლე, რომელიც სცხოვრობდა რუსეთში და ახლა იქიდამ მოსულიყო კახეთს და თორლას ციხეში გამაგრებულიყო. ვახტანგმა იგი დაამარცხა და განაძევა. ყეენს შაჰ-აბაზს ესიამოვნა დამარცხება რუსეთის მომხრე ერეკლესი და კახეთის ტახტი არჩილს მისცა და გამოისტუმრა. შემდეგ ამისა მამა-შვილთ დაიპყრეს და დაიმორჩილეს მთიულნი და ის-ის იყო მშვიდობიანობა და ერთობა მყარდებოდა საქართველოში, რომ მცირე შემთხვევამ ჩაშალა საქმე.

1667 წ. შაჰ-აბაზი მოკვდა. ქვრივის ანუკა ბატონიშვილის შერთვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილებიც, რომელიც დაუბეჭდიათ სხვა-და-სხვა კავკასიურს გაზეთებს შესახებ კავკასიის ეტნოგრაფიისა, გეოგრაფიისა, ოროგრაფიისა, გეოლოგიისა და სხვანი. ანუსხულია სხვათა შორის საეტნოგრაფიო წერილები, დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში 1886 და 1887 წლის განმავლობაში.

⁂ ანჩხატის ქუჩაზე ექსარხოსის საჯინიბო ამ რამდენისამე თთვის წინად დაიქცა. საჯინიბოს კედელზედ გამართული იყო საქალაქო ფარანი. ეს ფარანიც, რაკი საჯინიბო დაიქცა, ძირს ჩამოვარდა. და აი მას აქეთ ეს ვიწრო ქუჩა უფარნოდ არის დარჩენილი და ამ უბნის მცხოვრებლები დიდს გაჭირებაში არიან. იმედია, ქალაქის გამგეობა ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას და ანჩხატელებს ქუჩას გაუნათებს.

⁂ ბორბალა: ამ რამდენსამე დღის წინად ბარათაშვილის მოურავმა ნელიუბოვმა თხუთმეტი თუმანი ფული ჩააბარა თავის მოსამსახურეს ვარსიმაშვილს და ქალაქს გაჰგზავნა, რათა ჩაბარებული ფული მამულის პატრონისთვის გადაეცა. ვარსიმაშვილს გზაზედ უნდა შეევარნა სოფ. მწყნეთს და იქაურ მცხოვრების ასიტოვისთვისაც უნდა გამოერთმია რამდენიმე თუმანი ფული, რომელიც ნელიუბოვს მიეცა სესხად. მწყნეთში ასიტოვი ვარსიმაშვილმა ვერა ნახა, რადგან წასულიყო უძოვს, საცა დუქანი ჰქონოდა. ვარსიმაშვილიც უძოს გაემგზავრა, იქ ასიტოვი არ დაუხვდა. ასიტოვის დახლიდარმა ვარსიმაშვილი გამოათრო, შემდეგ სცემა და გასცარცვა. ფულის გარდა ვარსიმაშვილს წაართვეს ხანჯალი და ქამარი. დახლიდარი უკვე შეიპყრეს და დააპატიმრეს.

⁂ სანგილო: ღვინობისთვის შუა რიცხვებში აქ დიდი სიცივეები დაიჭირა, მთები დათოვლა. ხალხი ძრიელ შეშინდა ამ ნაადრევ სიცივისაგან. ნაღვლობდნენ, რომ ვეღარც პურს დავთესავთ და ვეღარც შეშა-ფიჩხს დავიმზადებთო. მაგრამ ღვთის მადლით რამდენისამე დღის შემდეგ გამოიდარა, თბილი დღეები დაიჭირა და ხალხი ტყე-მინდორში გავიდა სამუშაოდ. აქაური ტყეები მეტყევემ უკვე ჩაიბარა და შეჰკრა.

⁂ იქიდამვე: ტფილისის სამეურნეო გამოფენაზე რამდენიმე ინგილომაც გაგზავნა თავის ნაწარმოები, მაგ. ღვინო და თრიმლი. კიდევ ბევრს სხვა ნაწარმოებსაც გაგზავნიდნენ, მაგ. ჯეჯიმებს, ძაფს, აბრეშუმეულს და მრავალს სხვას, მაგრამ არ გაგზავნეს იმიტომ, რომ ინგილოების ნაშრომ-ნაწარმოებს მაწარმოებელის სახელით-კი არა ჰგზავნიდნენ ტფილისს, არამედ ვილაც თათრის სახელით. ამ გარემოებამ უკმაყოფილება დაბადა ინგილოებში. თუ-კი ჩვენს გაგზავნილს ქირნახულს ჩვენივე სახელი არ ეწერება, აღარაფერსაც აღარ გავგზავნითო, და მართლაც გამოფენაზე ინგილოების ნაწარმოები სულ არა ყოფილა-რა.

---

«წერა-კითხვის საზოგადოებისაგან» ჩვენ მივიღეთ დასაბეჭდად შემდეგი: 8 ოქტომბერს ამ 1889 წ. ბათუმში გამართულ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სკოლის სასარგებლოდ დიდი თანაგრძნობა და შეწევნა აღმოუჩენიათ ფულად თუ ნივთების შემოწირვით. გამგეობა საზოგადოებისა დიდად სწუხს, რომ შეძლება არა აქვს ყველას სათითაოდ გადუხადოს მადლობა, ხოლო მოვალეობად-კი ჰრაცხს გულითადი მადლობა გამოუცხადოს როგორც შემომწირველთ, ისე იმათ, ვინც პირდაპირი და მხურვალე მონაწილეობა მიიღო ლატარიის გამართვაში, სახელდობრ: კნ. პ. კ. მიქელაძისას, ქ-ნებს კ. ა. სევერინისას, მ. ი. ლორენტისას, ს. ა. ვარშავსკისას, ლ. ა. კობიევისას, ნ. ი. მღვდლიევისას, ო. ა. ქილინსკისას, ა. ლ. სურგულაძესას, მ. მ. მაჰავარიანისას, ე. ფ. ანდრუშკევიჩისას, ე. ს. ჩოჩუასას, კნ. ნ. დ. ლორთქიფანიძისას, კნ. ნ. მ. აბაშიძისას, ო. ა. კაშირენკოსას და ა. ს. მგელაძისას; აგრეთვე ბ-ნებს: პ. მ. ლორენტის, დ. ს. კლდიაშვილს, ს. ი. აბდუშელს, ი. ა. თოხათელოვს, თ. მ. ზ. ლორთქიფანიძეს, დ. პ. ხორავას, ლ. ს ქიქოძეს, ა. დ. კობიევს, ი. ს. მეხხს, ი. ი. ყიფიანს, ს. ბ. გოცირიძეს, ს. გ. სურგულაძეს, თ. გ. გ. ფალავას, ჰუსეინ-ეფენდი-ყარა-ალი-ზადეს, სულეიმან-ალი-როსტომ-ზადეს, ს. ს. საბაშვილს, ა. ი, გუგუშვილს, ე. გ. კოპალაძეს, ემილ ბოზზოს, დ. ნ. დათეშიძეს, გ. ცერცვაძეს, ა. ს. ლოლუას და ს. ლ. ქუთათელაძეს.

თავმჯდომარე საზოგადოებისა
თ. ი. ჭავჭავაძე

## წვრილი ამბები

გლადსტონს „New Review“-ში დაუბეჭდია წერილი და ამ წერილში ოც-დათხუთმეტის გამოჩენილის კაცის აზრი მოჰყავს იმის შესახებ, რომ ზოგიერთი მწერალი თავისს წერილს მოგონილს სახელსა და გვარს აწერს. გამოჩენილი მოხუცი გლადსტონი ამ საგნის შესახებ იმ აზრისაა თურმე, რომ ყველა წერილს უეჭველად უნდა მოაწეროს დამწერმა თავისი სახელი და გვარი. თითონ გლადსტონს მხოლოდ თავისს სამს წერილზედ არ მოუწერია ხელი, ისიც იმ შემთხვევაში, სადაც იმისთანა წარჩინებულის თანამდებობის კაცს სახელის მოწერა არ შეესაბამებოდა. ამ გვარ წერილთა შორის ჩათვლილია აგრეთვე წერილი გერმანიისა და საფრანგეთის შესახებ, რომელიც გლადსტონს თავისის მთავარ-მინისტრობისა და საფრანგეთის ბრძოლის დროს დაუბეჭდია „Edinburgh-Review“-ში.

— ვულვიჩს ახლო ამას წინად გამოუცდიათ ზარბაზნები, ისეთი ზარბაზნები, რომელიც პირუტყვებმა უნდა ატარონ. ერთს ხუმარა წევრთაგანს კომისიისას უთქვამს, რომ მოდით ზარბაზანი სახედარს აჰკიდოთ და ისე გავისროლოთო. თუ ასე მოგვიხერხდა მაგ საომარ იარაღის ხმარება, მაშინ იარაღის ჩამოღებაზედ და აკიდვაზედ დრო აღარ დაგვეკარგებაო. ეს აზრი ყველა წევრს მოსწონებია და მიუყვიათ კიდეც ხელი ცდისათვის. სახედარი მშვიდობიანად იდგა თურმე იმ დრომდე, ვიდრე ზარბაზანი ზურგზედ ჰკიდა და მანამდე ზარბაზნის ფითილას ცეცხლი არა ჰქონდა წაკიდებული. წაუკიდეს თუ არა და ფითილამ შიშხინი დაიწყო, სახედარმა წიხლების ყრა და ტრიალი მორთო თურმე. კომისიის წევრნი იძულებულნი გამხდარან დაწოლილიყვნენ დედამიწაზედ, რომ ჩვენ არ მოგვხვდეს ტყვიაო. სახედარი-კი ამასობაში ტლინკავდა და დიდს ამბავში იყო. ორი წუთიც და გავარდა თურმე ზარბაზანი, გავარდა ისე, საბედნიეროდ, რომ არავისთვის არა დაუშავებია-რა.

— დიდი ხანია ისყიდებოდა ისეთი ტიკინები, რომელიც დადიოდა, თვალებს ატრიალებდა და სიტყვას « მამასა » და «დედასაც» ამბობდა. ახლა ედისონის წყალობით ისეთი ტიკინებიც იშოვება, რომლებიც მთელს ლექციებს კითხულობენ და მთელის საათობით ლაპარაკობენ. ამისთანა ტიკინებს ედისონის ფაბრიკაში აკეთებენ დღეში თითქმის სამას ცალს. ამ ფაბრიკას სხვა-და-სხვა ქვეყნიდგან უკვე შეკვეთილი აქვს თურმე 100,000 მოლაპარაკე ტიკინი. ამისთანა ტიკინები ქადაგებას ამბობენ, უმაწვილებს უამბობენ არაკებს, სამხიარულო ლექსებსა ჰკადრობენ და, სხვათა შორის, მღერიან თურმე აგრეთვე ამერიკის საერო ჰიმნს. ფონოგრაფის შემწეობით ამისთანა ტიკინს პროფესორის ადგილი შეუძლიან დაიჭიროს და მთელი საათი ლექციები იკითხოს სხვა-და-სხვა საგანზედ. ახლა კიდევ ედისონი რამდენსამე ტიკინს აკეთებს თურმე ისეთს, რომელთაც ერთმანეთში მეცნიერული კამათობა აქვთ ატეხილი და დიდს ლაპარაკსა და ბაასში არიან.

— ჩვენი უბედურება ხომ ის არის, რომ საზოგადოდ უბრალო საქმის გამო ერთს კაი - უშველებელსა და დიდს აყალმაყალს გავაბამთ ხოლმე, ვილაპარაკებთ, ვილაპარაკებთ ბოლო-მოუღებლად

---

მოისურვეს შიხ-ალი-ხანმა და ლორისტანის სულთანმა. ვახტანგმა ეს უკანასკნელი არჩია. ამის გამო შიხალი, ახალის ყეენის დიდი სანდო კაცი, ვახტანგს გადაემტერა. იგი ახალციხის ფაშას მიემხრო და ორთავემ, რომ მეფისთვის გზა-კვალი დაებნიათ, გადასწყვიტეს აეშალათ და შეეორგულებინათ მეფის ძენი, რომელთაც აღუთქვეს იმერეთის ტახტი. ამით უნდოდათ მეფისთვის გადაეკიდათ ერთის მხრით ხონთქარი და მეორეს მხრით ყეენი. წადილი აღუსრულდათ. ლუარსაბ ბატონიშვილი იდუმალად გაემგზავრა ახალციხისკენ. იმის კვალს გაჰყვა არჩილიცა, რადგან ძმისათვის იმერეთის ტახტის დათმობა არ უნდოდა. მეფეს ძრიელ ეწყინა. შეუჩინა კაცები, რომ შვილები გონს მოეყვანა, მაგრამ ვერა გააწყო-რა. შეწუხებული მეფე თავისა თვისის გასამართლებლად წავიდა ყეენის წინაშე და ქართლის გამგებლად-კი დანიშნა ძე თვისი გიორგი. მეფემ ისპაანამდის ვერ მიაღწია და ხოშკარს გარდაიცვალა (1675 წ.)

ყეენმა გიორგი ისპაანს დაიბარა, რათა მისთვის დაემტკიცებინა მამის ტახტი. გიორგი იახლა, მაგრამ იმავ შიხალიხანის ჩაგონებით ყეენმა გიორგი დააყოვნა ისპაანს იმ დრომდე, ვიდრე ამბავი არ მოუვიდა, რომ არჩილი დიდ-ძალის ჯარით მოდის ქართლის დასაპყრობადაო. მეფე გიორგი 1676 წ. ტფილისს შემოვიდა და არჩილი-კი გადავიდა იმერეთს და ხელ-ახლა ავიდა იმერეთის ტახტზე. ყეენი მეფის გიორგის ძმაზე დიდად გაჯავრებული იყო. მოსწერა გიორგის: «ან მომგვარე არჩილი, ან განაძეო», მეფემაც შეატყობინა არჩილს, რომელიც იმერეთიდამ გადავიდა დვალეთს, მაგრამ ყეენის ბრძანებით იქიდგანაც განაძევეს და არჩილი წავიდა რუსეთს. მეორე ძმა-ლუარსაბი-კი თითონვე ეახლა ყეენს.

შიხალიხანმა მაინც არ მოასვენა მეფე გიორგი. მისის შთაგონებით ყეენმა ქართლ-კახეთის ტახტი მიუბოძა ზემოხსენებულს გამაჰმადიანებულს ერეკლეს და გიორგის-კი მისწერა: „მოვედ წინაშე ჩემსა და მოგცე ქვეყანა სხვა და ნიჭნი დიდნი, არამედ ქართლი მიმიცია ერეკლესთვის“. 1688 წ. ერეკლე ჯარებით შამოვიდა ქართლს, გიორგი-კი არ დაემორჩილა ყეენის ბრძანებას და გამაგრდა ცხინვალში, მაგრამ იძლია და წავიდა იმერეთს. აქედგან გადავიდა ახალციხეში. აქ შეკრიბა ჯარები და 1691 წ. შემოვიდა ქართლს, დაიპყრო იგი და ხელ-ახლა გამეფდა**). მაგრამ იმისი შფოთიანი მეფობა გაგრძელდა სულ 4 წელიწადს. ერეკლემ და ყიზილბაშთა ჯარმა 1695 წ. დაამარცხეს და განაძევეს ქართლიდამ. გიორგი წავიდა იმერეთს და იქიდგან თავის გასამართლებლად ისპაანს წავიდა.

სპარსეთში უკვე იყვნენ მძევლად მეფის ძმანი: ლევანი და ალექსანდრე. ეს უკანასკნელი ჯერ შაჰნაოზის დროსვე სპარსეთს გაგზავნილი იყო ისპანის ტარუღად, გიორგიც ამას მიემატა. მეფემ ყეენს გამოუცხადა თვისი ერთგულება და სთხოვა ისევ დაებრუნებინა მისთვის მამა-პაპეული ტახტი. ყაენმა შეიწყნარა თხოვნა მეფისა, აღუთქვა ტახტი, მაგრამ მინამ გამოგზავნიდა ქართლს, დაავალა დაპყრობა და დამორჩილება აშლილთა ავღან-ყანდარელთა და სხ.; გიორგი დაინიშნა სპასალარად ლაშქრისა და ავღანისტანის მმართველად. მეფის ჯარში ერივნენ 500 რჩეულნი ქართველნი, კასპიის ზღვის აღმწერის ისმეილ ბეგის ჩვენებით-კი 4,000 კაცი.

გიორგიმ გაილაშქრა ავღანისტანისაკენ. მოწინავე ჯარს უძღოდა მეფის ძმა ლევანი, რომელმაც, რამდენისამე ფიცხელის ბრძოლის შემდეგ, დაიპყრო ქირმანი. როდესაც მეფეც მივიდა, დაიპყრეს ბულუჯნი. „მეფემან გიორგიმ დაამშვიდა ყოველი ურჩნი, რამეთუ ხოსროშა და შაბადა მპყრობელნი ბულუჯისანი, მოვიდნენ წინაშე მისსა, შიშით შეძრწუნებულნი და თაყვანის-მცემელნი“. მეფე სისტანიდამ და გირიშკიდამ წავიდა ყანდაარს და დაშინებულნი ავღანელნი და აზარველნიც დაემორჩილნენ და მოხარკეობა იკისრეს.

გიორგის წინად ყანდაარის უფროსად შაჰისაგან გამწესებულიყო მირვეისი, კაცი მეტად ცბიერი, გაიძვერა და თავის სახელის მეძიებელი. მან მლიქვნელობით შეაყვარა თავი თვისი შაჰსა და ავღან-ბულუჯთ ამბოხებაც იმისგან იყო მოხდენილი. მაგრამ შაჰმა ეს არ იცოდა. გიორგიმ-კი მალე შეატყო ცბიერება და უნდოდა როგორმე თავიდამ მოეშორებინა (ბუტ. ტ. I გვ. 502).

დიდი ხანი არ გავიდა, რომ აზარეთის სულტანი დაქეზი განუდგა მეფესა, რომელმაც უბრძანა მირვეისს ან მოეკლა, ან შეეპყრო დაქეზი და მიერთმია მისთვის. მირვეისმა ღალატით მოჰკლა დაქეზი და აზარეთიც დაიპყრო. მეფემ დაქეზის თავი მირვეისისავე ხელით გამოუგზავნა შაჰსა და თანაც მისწერა მირვეისის ორგულობა მისდამი და სთხოვა, უკან ნულარ დააბრუნებო. მირვეისმა შაჰის მოსყიდულ ხელისუფალთაგან შეიტყო მეფის მოწერილი საიდუმლო, მათივე შემწეობით მოახერხა დაბრუნება ყანდაარს და განიზრახა მოეკლა მეფე გიორგი. მაგრამ ჯერ-ჯერობით დიდს ერთ-გულებას იჩენდა მეფის შიშისა გამო.

მეფე, მოშორებული თავის საკუთარს სამეფოს, ისევ დიდი მოყვარული იყო ქრისტიანობისაცა და თვისის ქვეყნისაცა და ეძებდა მარჯვე შემთხვევას, რომ უკან დაბრუნებულიყო. ყანდაარიდამ იერუსალიმის გოლგოთას მონასტერს, ერთ მესხეთელ ქართველის ხელით, გაუგზავნა ორი ათასი თუმანი (20,000 მ.) და საქართველოში-კი გამოგზავნა თავის თანმყოფი ოქროს ხატი, ნაწილნი და ჯვარნი.

ღვთის მოყვარე მეფეს ვერ მოუხდა სამშობლოს ნახვა. განდგა ქალანთარი თვისის თემით და აღარ ინდომა მეფის მორჩილება. ყანდაარში მდგომმა მეფემ მის წინააღმდეგ გაგზავნა ჯარი თვისის ძმის ალექსანდრეს მოთავეობით. ამ ჯარმა სრულიად დაამარცხა ქალანთარი და დიდის ალაფით დაბრუნდა, მაგრამ მინამ ეს ჯარი ყანდაარს მოაწევდა, მირვეისმა დრო იმარჯვა, მოისყიდა მეფესთან დარჩენილი რაზმი სპარსელთა და დაეცა მეფის მცირე ამალას. მეფე ჩაიკეტა ერთს სასახლეში და ვაჟკაცურად დაუხვდა მტერს. მირვეისი ბევრს ეცადა და სასახლის კარები ვერ შეამტვრია, რადგან შიგნიდგან გიორგი და მისი ამალა თოფის სროლით იგერებდნენ და ახლოს არ უშვებდნენ მტერს. რომ ამ ნაირად ვერა გააწყო-რა, მირვეისმა ხერხი იხმარა, თავის კაცებს აახდევინა სასახლის სართული და ამით იძულებულ ჰყო მეფე დამორჩილებოდა მთელის თვისის სახლობით. გაბოროტებულმა მოღალატემ მეფეს მაშინვე წარკვეთა თავი (1709 წელს დიდს ხუთშაბათს). მეფის სახლობა განუტევა. დაიპყრო-რა ყანდაარი, მირვეისი სრულიად განდგა შაჰისაგან. ქართველი ლაშქარი ალექსანდრეს მოთავეობით, დიდად შეშინდა (სიმცირისა გამო) და ივლტო სპარსეთისაკენ. მალე მოაწიეს ლეილ-მანჯურის ციხეს და იქიდგან გამოეშურნენ გირიშკისაში. მირვეისის მხედარნი დაეწივნენ მათ, მაგრამ, ფიცხელის ბრძოლის შემდეგ, იძლივნენ და უკუ იქცნენ. ქართველნი გამოემართნენ მაშათისაკენ.

მირვეისის ჩადენილი საქმეები რომ გაიგო შაჰ-უსეინმა, ძალიან განრისხდა და ქართლის მეფეს, გიორგი მეფის ძმის ლეონის წულს ქაიხოსროს მიუბოძა სპასალარობა ჯარისა და უბრძანა: შეიპყარ და მოჰკალ მირვეისი და დაიმორჩილე ყანდაარიო.

ქაიხოსრო გაემგზავრა დიდის ჯარით. მაშათიდამ ქართველნი ისევ გირიშკში დაბრუნა და აქ გამაგრდნენ. მირვეისი დიდის ჯარით შემოებრძოლა, მაგრამ დამარცხდა, გაიქცა და ჩაიკეტა ყანდაარში. ქაიხოსრო შემოერტყა ამ ქალაქს. სამის თთვის განმავლობაში ქალაქის მცველთ გზა-კვალი შეკრული ჰქონდათ. შიმშილმა რომ შეაწუხა მირვეისი, სცადა თავისი ძალა და შემოუტია მტრების ერთს ნაწილს, რომელსაც უფროსობდა ალექსანდრე, მაგრამ ვერა გააწყო-რა და დიდად დაზარალებული დაბრუნდა ისევ ქალაქში. შემდეგ ამისა კიდევ ოთხი თთვე ქართველნი იდგნენ ქალაქის ციხის ძირში, მაგრამ მტერი მაინც ვერ დაიმორჩილეს. საუბედუროდ, ამ დროს განმავლობაში ქართველ-სპარსელ ჯარში მუ-

**) ამ მეფის ორ-გზის მეფობის გამო იგი ითვლება მე-XI-ე და XII-ე გიორგად, ხოლო საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი მე-XIII-ედ.

და ამ ჩვენის ლაპარაკიდგან ლაპარაკის გარდა არა გამოდის-რა. ჭკვიანმა და გონიერმა კაცმა ლაპარაკიც ზოგვით იცის, უბრალოდ, უბრალოდ დროს დაკარგვას ერიდება და ბრალიანსა და უბრალოზე ობობას ქსელის გამართვას ყოველს შემთხვევაში არ ინდომებს. ამის მაგალითად ტალეირანის წერილები სწორედ რომ მშვენიერი მოსაყვანი და დამასაბუთებელი ამბავია. ტალეირანი თავისს კერძო წერილებში მალიან სიტყვა-სხარტული იყო თურმე და არაფრით ჰგლალატობდა იმ რუსთველის თქმულებას, რომ „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო“ ამას წინად გაუყიდნიათ ამ გამოჩენილის კაცის ორი წერილი, მიწერილი ერთ დედაკაცთან, რომელიც ჯერ დაქვრივებულა და შემდეგ მეორე მარი შეურთავს. ტალეირანს ამ დედაკაცის ქმრის გარდაცვალება რომ გაუგია, შემდეგი წერილი მიუწერია:

„მოწყალეო ქალბატონო!

ახა ვაითას!..

თქვენი ერთგული

ტალეირანი“.

როცა ამ ქვრივს გამოუგლოვნია პირველი ქმარი და ნაპოლეონის დიპლომატისთვის შეუტყობინებია, რომ მეორედ და ხელ-ახლად ვთხოვდებიო, ტალეირანს ასე მიულოცნია წერილით:

„მოწყალეო ქალბატონო!

ბარაქალა!

თქვენი ერთგული

ტალეირანი“.

---

ცლის ავადმყოფობა გაჩნდა, სპარსელნი სრულიად-აღარ იჩენდენ მხნეობას. ერთხელ, როცა იერიში მიიტანეს მტერზე, სპარსელნი შუა ბრძოლაში უკუდგნენ, ქართველნი იძლივნენ, ალექსანდრე მოიკლა, მაგრამ ქაიხოსრომ (იგივ ხოსრო) ხელ-ახლა შეუტია მტერს და ციხეში შერეკა. ეს უკანასკნელი გამარჯვება გამარჯვებად აღარ ჩაითვლებოდა. დასუსტებულნი და მარტოდ დარჩენილნი ქართველნი მირვეისმა დაამარცხა და გასწყვიტა. აქვე მოიკლა თვით მეფე ქაიხოსროც (1711 წ.) ქართველთაგან გადარჩა მხოლოდ კონსტანტინე, ძე ერეკლე I-ისა, რომელმაც ავღანისტანში მომხდარი ამბები ყეენს შეატყობინა. ქართველის ჯარის გაწყვეტის შემდეგ მირვეისი დაეწია ყიზილბაშთა ჯარსაც და სულ ერთიანად გაჟლიტა...

მზითევის წიგნის შესავალში მოხსენებული მეფენი გიორგი და ხოსრო ისინი არიან, რომელნიც დაიხოცნენ ავღანისტანს, აგრეთვე არჩილიც ის არის, რომელმაც «მიწევნულ ჰყო თავი თვისი პატიოსანი ხაზართა მეფე მეფისად და გიეს ცხოვრებითა და პატივით». ხოლო აქ არ ვიცით, ვახტანგი ვის უწოდს ხაზარებად: დვალეთის მთიულებს, თუ რუსებს. ჩვენ ვიცით, რომ არჩილი კაი ხანს დვალეთში იყო და მერე რუსეთს წავიდა. ხოლო ისტორიამ დღემდის ზედ-მიწევნით არ იცის, თუ ვინ იყვნენ, რომელ ტომს ეკუთვნოდნენ ხაზარნი და ამ მხრივ ფრიად საგულისხმოა ისეთის განათლებულის მეფის ჩვენება, როგორიც იყო ვახტანგი. გარდა ამისა იმავე შესავალში დომენტი კათოლიკოსს ვახტანგი თავის ძედ უწოდებს: „კურთხევითა... ძისა ჩვენისა პატრიარქის დომენტისათა“... აქამდის დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ვახტანგს ჰყვანდა შვილები: ბაქარი, გიორგი, ანუკა, თამარი, პაატა და ვახუშტი. ახლა გამოდის, რომ დომენტიც მისი შვილი ყოფილა. მაგრამ შესავალის ჩვენება მართალი არ უნდა იყოს. „ქართლის ცხოვრება“ დომენტის ვახტანგის ძმად ჰხადის: «დაადგინეს ნებითა ვახტანგისათა კათოლიკოსად დომენტი, ძე ლევანისა და ძმა ვახტანგისა, ახლად მოსული რუსეთიდამ, და აკურთხეს ჩლე» (1705 წ.)

რაც შეეხება ლევან ბატონიშვილს, ვახტანგის მამას, «ქართლის ცხოვრებაც» ისევე აქებს და ამკობს, როგორათაც მზითევის წიგნის „შესავალი“: «ესე ლევან იყო სიჭაბუკითგანვე ღვთის-მოყვარე, ეკკლესიათა მშენებელი, მამკობელი, მდაბალი და ბოროტისა არ მომხსენებელი, მოწყალე, უშვიდი, ღრმად-განმსინჯველი და მოუბარი». ამას გარდა იგი რამდენსამე ხანს ყოფილა საქართველოს გამგებლადაც: „ლევან განაგნა დაშლილნი ყოველნი ქართლისანი და დაჰყო თითვე იე (15) ქართლს და დაუტევა ძე თვისი ვახტანგ განმგედ ქართლისა და... წარვიდა ისპაანს ქრისტესით ჩლბ“ (1702 წ.). «შესავალი» მას ჰხადის აგრეთვე ფილასოფოსთა მოთავედ, მართლ-მსაჯულად, გარდუწეველად მოსამართლედ, მომავალთა საქმეთა სიბრწყინვით წინასწარ-მთქმელად.

უნდა ვიფიქროთ, რომ მამამ ლევანმა დიდი შემწეობა აღმოუჩინა თავის შვილს ვახტანგს სამართლის წიგნის შედგენაში.

ბოლო

# დეპეშა

2 ნოემბერი

პეტერბურგი. სეკრეტორი ლისაბონის მისიისა კაზარინოვი დაინიშნა კონსულად ბერლინში კუდრიავცევის მაგიერ, ხოლო კუდრიავცევი გადაყვანილ იქმნა კონსულად სტოკჰოლმში. კონსული იასსისა ობერმილლერი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდამ თავის სურვილისამებრ.

შესდგა ცალკე კომისია, რომელმაც უნდა გადასინჯოს პროგრამები კლასიკურის გიმნაზიებისა. კომისია ფიქრობს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს წესსა და მეტოდს სწავლებისას. კომისია რამდენსამე ლექციად არის გაყოფილი სწავლების საგანთა მიხედვით.

გუშინ გამოცხადებულ იქმნა „ტარიფების კრებულში“ ახალი ტარიფები პურის გადატან-გადმოტანის ფასებისა. ეს ტარიფები შემოღებულ იქმნება 15 ნოემბრიდამ დროებით. ახალი ტარიფები არ იქმნება გადასინჯული და შეცვლილი ორის წლის განმავლობაში მაინც.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე

| | | | |
|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული | | 1 გირ. | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | | | $3^1/_2$ |
| „ 2 | „ | | 3 „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარ. | | | 5 „ |
| „ „ 2 | „ | | 4 „ |
| „ „ 3 | „ | | $3^1/_2$ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა. | | | 5 „ |
| მე-2 ხარისხისა | | | 4 „ |
| მე-3 — | | | „ „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | | 8 „ |
| „ 2 | „ | | 7 „ |
| სუკი | | | 14 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | | 7 „ |
| ღორის ხორცი | | | „ „ |
| „ 2 | „ | „ | „ „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.


# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა | 1 | „ |
| მოკლე დარიგება სეხილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“ | „ | 20 |
| დემეტრეს სახლობა, მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა | „ | 15 |

ახლად გამართული ფოტოგრაფია ა. ს. როინაშვილისა

მოთავსებულია ერევნის მოედანზედ, სარაჯოვის სახლში.

მიიღებს ყოველ გვარს ფოტოგრაფიულს საქმეებს იაფისა და ზომიერის ფასით.

იქვე ისყიდება სხვა-და-სხვა გვარი შესანიშნავი სურათები საქართველოსი და მთელის კავკასიისა.

(20—20)

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავ-აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენციისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს—Otto Asperger Leipzig (საქსონია). ეგრეთ-ქვემოხსენებული წიგნის გაგზავნის ფასს არ იღებს.

(52—36)

# კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ,

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეგზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1889 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 12 თვეით | 10 მ.—კ. | | 6 თვეით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 „ | | 5 „ | 5 „ 25 „ |
| 10 „ | 8 „ 75 „ | | 4 „ | 4 „ 70 „ |
| 9 „ | 8 „ — „ | | 3 „ | 3 „ 50 „ |
| 8 „ | 7 „ 25 „ | | 2 „ | 2 „ 50 „ |
| 7 „ | 6 „ 50 „ | | 1 „ | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით იმას მხოლოდ შემდეგი თვის პირველს დღიდამ გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქცია ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, პირველ საათიდამ სამ საათამდე და საღამოობით 7-დამ 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ავჭალის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში.

# დედა ენა-ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას: Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.


Доз. ценз. Тифлисъ 2-го Ноября 1889 г. სტამბა მ. გ. მეხსის. (Типографія Е. Г. Мехси, пом. Т. Д. 3 Банка на Фрйлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.